

WAR REFLECTION IN THE “THREE WARS” BY NANA AKOBIDZE

ომის რეფლექსია ნანა აკობიძის ტრილოგიაში „სამი ომი“

Marina Turava

Ph Doctor in Philology,
Associate Professor of Sokhumi State University
Tbilisi, Politkovskaya 26, 0186, Georgia,
+995 577 480 708, marinaturava@sou.edu.ge
<https://orcid.org/0009-0009-3976-989X>

Abstract. War always was one of the most important issues of literature, but a century ago, in the 20s of the 20th century representatives of “The Lost Generation” made the problem conceptual. After the World War the First a lot of authors inspired by the construction of Hertrud Stein dedicated to the war, at least, one book; among them: Francis Scott Fitzgerald, Erich Maria Remark, Richard Aldington, Georgians favorite author Ernest Hemingway. The novel, “Farewell, Weapons!” is the classical text of modernism and one of the manifests of peace. The masterpiece of Hemingway, the short-story “The Butterfly and The Tank” shows the war in different perspective – a butterfly can’t defeat a tank, but it fights and becomes stronger. On the other hand, just “the butterfly” (enigma of refined substance) is a victim of violence and cruelty of all wars.

Nowadays is too important feminine/“The Butterfly” perspective, unknown details and nuances.

Key Words: War Paradigm, Trauma Memory, Feminine Narrative.

მარინა ტურავა

ფილოლოგიის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, პოლიტკოვსკაიას 26, 0186, საქართველო
+995 577 480 708, marinaturava@sou.edu.ge
<https://orcid.org/0009-0009-3976-989X>

აბსტრაქტი. ომზე ყოველთვის წერდნენ, მაგრამ ერთი საუკუნის წინ, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში „დაკარგული თაობის“ ლიტერატურამ ამ თემას სისტემური ხასიათი მისცა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჰერტრუდა სტაინის ცნობილი გამონათქვამით ინსპირირებულმა არაერთმა მწერალმა მიუძღვნა ომს, მინიმუმ, ერთი წიგნი. ამ ავტორებს შორის არიან: ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, ერიხ მარია რემარკი, რიჩარდ ოლდინგტონი, ქართველებისთვის განსაკუთრებით საყვარელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი. რომანი „მშვიდობით, იარაღო“ „დაკარგული თაობის“ ლიტერატურის კლასიკურ ტექსტად და მშვიდობის ერთ-ერთ მანიფესტად იქცა. მისგან განსხვავებით, ჰემინგუეის გენიალური მოთხრობა „პეპელა და ტანკი“ ომს თითქოს სხვა რაკურსით წარმოაჩენს. პეპელა ვერასდროს დაამარცხებს ტანკს, მაგრამ მაინც ბოლომდე ებრძვის, უკან არ იხევს, უსამართლობასთან შეწინააღმდეგება აძლიერებს. მეორე მხრივ, სწორედ „პეპელა“ (რაფინირებულობისა და მოწყვლადობის ენიგმა) ეწირება ყველაზე მეტად ომის სისასტიკეს, ძალადობას. ბოლო დროს აქტუალური გახდა ქალის თვალთ დანახული სისასტიკე, მამაკაცური რაკურსიდან მზერა „პეპელაზე“ გადმოვიდა და აქამდე უცნობ დეტალებზე, ნიუანსებზე გამახვილდა ყურადღება.

საკვანძო სიტყვები: ომის პარადიგმა, ტრავმული მეხსიერება, ქალთა ნარატივი.

შესავალი. „*ომს არ აქვს ქალი სახე*“ სათაურია ბელარუსი ავტორის, ნობელის პრემიის ლაურეატის, სვეტლანა ალექსიევიჩის პირველი წიგნისა. ავტორი მეორე მსოფლიო ომგამოვლილ ასობით ქალს ესაუბრა და ამ ტრავმების მომსწრეთა ცოცხალი მონათხრობი დაგვიტოვა. ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური პროზა, რეალურისა და გამოგონილის ნაზავი. მკითხველი ეცნობა მამაკაცთა ხედვისაგან სრულიად განსხვავებულ, საბჭოური პათოსისაგან თავისუფალ, შეულამაზებელ სურათებს ქალის თვალთა დანახული და უფაქიზეს დეტალებში განცდილი ომისა, სადაც ყველაფერია – სულმდაბლობაც, ჭუჭყიც, მაგრამ – ჭეშმარიტი გმირობაც და სისხლითა და ცრემლით მოპოვებული გამარჯვებაც, რომელსაც საუკუნეები ვერ წაშლის. შეგროვებული მასალები/წიგნის წანამდვრები ომზე საბჭოური ლიტერატურის კლიშეებს ვერ ერგებოდა, ამიტომაც 1983 წელს დაწერილი წიგნი 1985 წელს კუპიურებით გამოიცა, სრული სახით კი მხოლოდ ბოლო წლების გამოცემებში შევიდა.

წიგნის ქართული თარგმანი 2017 წელს გამოსცა „ინტელექტმა“. ზემოთ მოყვანილი სიტყვები ამ გამოცემის ანოტაციიდანაა. ალექსიევიჩის წიგნმა აქტუალურად აქცია ქალის თვალთა დანახული სისასტიკე, მამაკაცური რაკურსიდან მზერა „პეპელაზე“ გადმოიტანა და აქამდე უცნობ დეტალებზე, ნიუანსებზე გაამახვილა ყურადღება.

ასეთივე წიგნია ნანა აკობიძის „სამი ომი(ც)“ (ტრილოგია), რომელიც „ინტელექტმა“ გამოსცა 2024 წელს. წიგნის რედაქტორის, ირაკლი შამათავას სიტყვებით, ნანა აკობიძე „*ომის მწერალია*“ (აკობიძე, 2024, გვ. 5). ნანა აკობიძე არის პოეტი, ჟურნალისტი, მედიამკვლევარი, პოეტური გაერთიანების „ბებერი პოეტების ორდენის“ სულისჩამდგმელი, მეგობარ პოეტებთან რეზო გეთიაშვილთან და ალექო ცქიტიშვილთან ერთად.

ნანა აკობიძის ცხოვრება ომმა მთლიანად შეცვალა, მისი ბიოგრაფიის ნაწილად იქცა, ამიტომაც წერს მასზე ასე გულწრფელად, ასე ნამდვილად. ამიტომაც იქცევა სანდო ავტორად, ამიტომაც მიუტევებ ხარვეზებს, კომპოზიციურ გაუმართაობასაც: ტრილოგიის პირველი და მესამე ნაწილი თითქოს ტავტოლოგიურია, რაც ნებისმიერ ტექსტს გადაგადებინებდა გვერდზე. ორ ნაწილად გამოცემის შემთხვევაში, წიგნი ბევრად უფრო მოიგებდა, სათქმელიც, ავტორისეული შეფასებებიც უფრო ზუსტად, ოსტატურად დაფიქსირდებოდა.

მეთოდები. ვეყრდნობით სხვადასხვა მეთოდს: კომპარატივისტულ-ჰერმენევტიკულს (ომის პარადიგმის გასაანალიზებლად), ისტორიულ-შედარებითს (ისტორიული ქრონოტოპის საწვდომად), ანალიზისა და სინთეზისა.

შედეგები და მსჯელობა. ბოლო დროს ომის დისკურსი მოდური გახდა, ალექსის ომმა მიიყვანა მწერალი თეონა დოლენჯაშვილის („ჩიტი არ გამოფრინდება“) აფხაზეთის ომამდე, რომანის მთავარი პერსონაჟი ფოტორეპორტიორი ნატა „სხვის ომში ცდილობს საკუთარის გააზრებას“, თუმცა ამ შემთხვევაში ინსპირაციაზე უფრო მნიშვნელოვანი მწერლის პიროვნული დამოკიდებულებაა საქმის, პროფესიის მიმართ. თეონა დოლენჯაშვილი ნიჭიერი და საინტერესო ავტორია, არაერთი კარგი ტექსტის შემქმნელი, საკუთარი ბეგრანდით, მწერლური ბიოგრაფიით. ამიტომაც იმგვარი უზუსტობანი, ლაფსუსები, რომლებსაც ასე მტკვივნიულად აღიქვამს მკითხველი, განსაკუთრებით ომგამოვლილი, მისგან მოულოდნელია. რომანის დასაწყისშივე ვკითხულობთ, რომ ქალაქის დატოვების წინ ქართველები აალებულ კვერებს ესროდნენ საკუთარ სახლებს და

წვავდნენ: „სწორედ ამ სასიკვდილო ფეირვერკის ფონზე ვტოვებთ სოხუმს,“ იხსენებს ნატა. შესაძლოა, ორიოდე ასეთი შემთხვევა, მართლაც იყო, მაგრამ ქართველები რამდენიმე თვეში უკან დაბრუნებას გეგმავდნენ და საკუთარ ეზო-კარს ასე ადვილად არ იმეტებდნენ.

ნატა და მისი ოჯახის წევრები ჭუბურით ტოვებენ აფხაზეთს, მერე ექიმისა და წამლის მიებაში ხან ოჩამჩირეში აღმოჩნდებიან, ხან ტყვარჩელში, რაც სრულიად წარმოუდგენელია. ელემენტარული გეოგრაფიის ცოდნაც ააცდენდა მწერალს ამ უხერხულობას, არაფერს ვამბობ ამ თემაზე შექმნილი ცნობილი ავტორის ცნობილი რომანის პირდაპირ რემინისცენციებსა თუ ალუზიებზე. რასაკვირველია, ამგვარი დამოკიდებულება სრულიად აქარწყლებს რომანის მეტაფორულობას, ღრმა დრამატიზმს, ხასიათებისა და ტრაგიზმის ხატვის ოსტატობას. ასეთი ავტორი კარგავს მკითხველის ნდობას, რაც აჭიანურებს კითხვის პროცესს.

აქ მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება: არაერთი ავტორი მცირე პროზით, მოთხრობა/ნოველით, იწყებს შემოქმედებით გზას, მერე თვლის, რომ თავი ეპიკურ ჟანრშიც უნდა გამოსცადოს, მაგრამ არც ოსტატობა ყოფნის, არც გამოცდილება და პროფესიონალიზმი დიდი ტექსტის შესაქმნელად.

იოსიფ ბროდსკი ცნობილ ესეში „ვერგილიუსი“, რომელიც ქართულად ანდრო ბუაჩიძემ თარგმნა, წერს: „რა გაეწყობა ასე მოხდა, ვინც უნდა წაიკითხოს, ის არ კითხულობს, წამკითხველნი კი არაფერს წარმოადგენენ“ (*ბროდსკი, ელრესურსი*). მისი თქმით, იესოსა და პილატეს წაკითხული რომ ჰქონოდათ ვერგილიუსის მეოთხე ეკლოგა, წინასწარმეტყველება ჯვარცმის შესახებ, „ახლანდელ უსიხარულო მდგომარეობაში არ ვიქნებოდით“ (*ბროდსკი, ელრესურსი*).

რა თქმა უნდა, პოეზიის (ზოგადად, ლიტერატურის) ფუნქცია ბროდსკისთან უტრირებულია, მაგრამ ომზე დაწერილ წიგნებს რომ კითხულობდნენ *ძლიერნი ამა ქვეყნისანი*, ბევრი უბედურება აგვცდებოდა.

ზემოთქმულის დასტურია ნანა აკობიძის ტრილოგია „სამი ომი“. ავტორის სიტყვებით, „ომი ბოლომდე მაშინ გაცნობს თავს, როცა უშუალოდ შეგეხება. სხვა დროს აისბერგივითაა - მთელი მისი მოცულობის მხოლოდ 10-15 პროცენტს ხედავ, ოღონდ აისბერგი თანდათან დნება, ომი კი, თუ ერთხელ მაინც შეგეხო და ცოცხალი გადარჩი, არასდროს დნება - სამუდამოდ რჩება შენში. ამ წიგნის ყველა პერსონაჟი ნამდვილია. ფაქტებიცა და მოვლენებიც ომის რეპორტიორის სიზუსტითაა გადმოცემული, ზუსტად ისე, როგორც იწერებოდა (ტექსტის ნაწილი უშუალოდ ფრონტზე), ამბავი კი რეალურისა და ირეალურის ზღვარზეა“ (აკობიძე, 2024, გარეკანი). წიგნი ეძღვნება სამ ადამიანს: ჯონ რეარდონს, ომის ბრიტანელ ფოტორეპორტიორს, რომელიც 2018 წელს გარდაიცვალა, 68 წლის ასაკში; ალექსანდრა ტატლის, ამერიკელ ჟურნალისტს, რომელიც 1993 წლის 21 სექტემბერს, 39 წლის ასაკში დაიღუპა სოხუმში და ცივინათელას, შავნაბადას ბატალიონის მეთაურს, რომელიც ფოთში მოკლეს, 1993 წლის 27 სექტემბერს, 23 წლის ასაკში. ომი, ნამდვილად, აერთიანებს სრულიად განსხვავებული ეროვნების, პროფესიისა და მისწრაფების ადამიანებს.

როგორც აღვნიშნე, „სამი ომი“ ავტორის პირად გამოცდილებას ემყარება, ავტობიოგრაფიული მომენტებით არის ინსპირირებული, ამიტომაც აქ ლაფსუსები და შეცდომები გამორიცხულია. ომის დროს რეპორტიორობამ, როგორც ჩანს, ნანა აკობიძეს ომთან დაკავშირებული ამბების ზუსტად, შეუცდომლად გადმოცემის უნარიც განუვითარა, რითაც იგი მკითხველის ნდობას იმსახურებს. ნანა აკობიძე აფხაზეთის ომის ამბებს გარედან კი არ აკვირდება, შიგნიდან ხედავს, ეს მისთვის სხვისი ომი არ არის, საკუთარია, ამიტომაც არის „სამი ომი“ ემოციურად სწორად გააზრებული, რაციონალური ამბავი ომზე.

„ფრჩხილიც არ უნდა გაიჭრა, წინ არ გახტე“ (აკობიძე, 2024, გვ. 71), ასე არიგებს ახალგაზრდა რეპორტიორს რედაქტორი. ნანასთვის ომში წასვლა რომანტიკულ განწყობასთან, სიყვარულის ძიებასთან ასოცირდება. ერთნაირი, მომბაზერბელი დღეებით დაღლილს თავგადასავალი ენატრება. თუმცა მალევე აცნობიერებს, რომ ომი არა არის თავგადასავლებისა და ახალი ისტორიების სივრცე, მას უბედურება, ტკივილი მოაქვს. საინტერესოა თბილისში გაჩენილი ფიქრებიც - „თან ომია, თან არ არის ომი“, „აფხაზეთში კი არა, ნიცაში დადიან ზოგიერთები“ (აკობიძე, 2024, გვ. 72).

ტრილოგიაში ძალიან კარგად ჩანს, როგორ ვერ გაითავისა საქართველომ ომი აფხაზეთში, როგორ ერთობოდა საზოგადოება მოდამი შემოსული დუბაის ტურებით, საზღვარგარეთ მოგზაურობებით, ჩვეულებრივად აგრძელებდა ცხოვრებას, იქ, სოხუმში კი, სინამდვილეში, მარტო ომის ბედი კი არა, საქართველოს მომავალიც წყდებოდა. „თბილისამდე თითქმის არ მოდიოდა აფხაზეთის ომის ამბები. პერიოდულად ტელევიზორში აცხადებდნენ ომში დაღუპულების სახელებს და გვარებს: „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაიღუპა“ (აკობიძე, 2024, გვ. 37) - მხოლოდ ეს მოკლე ნიუსი აკავშირებდათ ომთან!

წიგნში საინტერესოა წარმოჩენილი აეროპორტისა და თვითმფრინავის ამბებიც, ე.წ. „აეროპორტული მისტერია“: მხოლოდ მოხერხებულები აღმოჩნდებოდნენ სალონში, ბარგიც ბევრი ჰქონდათ და სათქმელიც. ერთი სოხუმელი ქალი „დაუსრულებლად ჰყვება თავის სახლ-კარზე, რომლის მოსანახულებლადაც მიდის სოხუმში“ (აკობიძე, 2024, გვ. 74). ის არაერთი ასეთი ქალის განზოგადებული სახეა. მიუხედავად იმისა, რომ „სამი ომი“ მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის ტექსტია, მასში ბევრია ასეთი განზოგადება, ტიპიზაცია,

„ომი უკვე თავგადასავალია“ (აკობიძე, 2024, გვ. 30), - ეუბნება ინგლისელი რეპორტიორი წიგნის გმირს, რომელიც, რა თქმა უნდა, თავად ავტორის ორეულია. დოკუმენტური ყაიდის ტექსტებში პერსონაჟისა და ავტორის იდენტობის საკითხი ადვილად გვარდება ხოლმე. სწორედ თავგადასავლის საძიებლად მიდის სტუდენტი გოგონა ომში, მოწყენილობას ებრძვის, ყოველდღიურობას უპირისპირდება. სასტუმრო „ცხუმში“ გატარებული პირველივე ღამე რადიკალურად ცვლის მის ცხოვრებას, პირად გამოცდილებას. „ცხუმში“, მასთან დაკავშირებული ამბები, ცალკე თავგადასავალია და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ომის ქაოტურობას, არაორგანიზებულობას, მოვლენათა სპონტანურობას, რაც, მრავალ სხვა გამოწვევასთან ერთად. იყო აფხაზეთის ომში დამარცხების მიზეზი.

„შეუმჩნევლად ღამდება ომში. ზღვის მხრიდან ფერმკრთალი მთვარე მოცურავს და ომით გაპარტახებულ სოფლებს მრუმე ფარდას აფარებს: რომ პოზიციების ორივე მხარემ ღამით მაინც არ უყუროს საკუთარ ნააკაცარს“ (აკობიძე, 2024, გვ. 33), სახეობრივი აზროვნების არაერთი ასეთი ნიმუშიცაა ტექსტში, რომელიც ხაზს უსვამს მწერლის ნიჭიერებას. ზოგიერთ სცენაში პირდაპირ, ნატურალისტურად არის წარმოჩენილი ომის საშინელებანი, მეომართა განწყობები:

- *აფხაზი იბრძვის ჩვენთან, საგუშაგოზე ორი კაცი მოუკლეს. გამწარებულმა ცხრა კაცი ამოხოცა მაგათი და დილით რომ ვნახეთ, იმ ცხრიდან ორი მამიდაშვილი აღმოჩნდა მისი.*
- *პოზიციები რომ ავიღეთ, სამი თვე არ მოგსვლია ცვლა. დაჭრილების გამოყვანისას ჩექმებს ვტოვებდით ტალახში და ფეხშიშველი ვაგრძელებდით გზას.*
- *მე არ მყავდა მტერი, არც ქართველი და არც აფხაზი, მაგრამ ჩემს ხალხს რომ უჭირს, აქ უნდა ვიდგე მეც.*
- *ვდგავართ, ვიგერიებთ. წინ წასვლის ბრძანება ისევ არაა. მე ნასწავლი კაცი არ ვარ და არ ვიცი, როგორ უნდა გადაწყდეს ეს ომი, პოლიტიკოსებმა უნდა მოაგვარონ, მაგრამ ამ ომში არცერთი მხარე არ იქნება გამარჯვებული (ხაზგასმა ჩვენია მ.ტ.).*

- თუ უკვე გააანალიზა ჩვენმა მთავრობამ, რომ არ უნდა ვიომოთ, გვითხრან ჩვენც და დავდებ ამ იარაღს და წავალ სახლში. მაგრამ სად წავალ? - ესაა ჩემი სახლი!
- „სწრაფად, სწრაფად გავდივართ“ - ეს ომის რეფერენია (აკობიძე, 2024, გვ. 83).

ომში სიკვდილისადმი დამოკიდებულებაც განსაკუთრებულია, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უფრო უნდა გაუშინაურდნენ, ჩვეულებრივად აღიქვან, ვერაფრით ვერ ეგუებიან: საავადმყოფოში „მკვდრები მოჰყავთ. ვერ ეგუებიან, რომ მათ გვერდით ადამიანი მოკვდა. ხშირად სახელი და გვარიც არ იციან, რომ საბუთები გავაფორმოთ. მეტსახელებს ეძახიან ერთმანეთს.“ არასასიამოვნო ანონსიც აქვე გაიჟღერებს: „ომის შემდეგ დაეწყებათ ნამდვილი კომმარი“ (აკობიძე, 2024, გვ. 33). ამ ომში მეომრებიც გამოუცდელები იყვნენ, ჟურნალისტებიცა და ექიმებიც, ამიტომაც დასრულდა ასე ტრაგიკულად და საბედისწეროდ. ამიტომ იქცნენ „წაგებული ომის“ ბიჭებად.

პირველი სიყვარულის განცდებსაც ომში ეზიარება მთხრობელი, სიცხიანს, დაღლილს, გონებარეულს ნათლად არც ახსოვს, როგორ გადახდება თავისი ცხოვრების მთავარი თავგადასავალი. ამ თავგადასავლის გახსენება, დეტალიზაცია, უცნაური, „მავ რეიზანიანი“ ბიჭის ძიებაა მთელი მისი შემდგომი საზრუნავი.

ცალკე ამ ბიჭის ისტორიაც სულისშემძვრელია, ომში დაბრმავებული, საბოლოოდ, ვერშემდგარი, ხელმოცარული „დაკარგული თაობის“ ტიპურ წარმომადგენლად იქცევა. ორივესთვის, გოგოსა და ბიჭისთვისაც, სწორედ სოხუმში გატარებული ის ერთადერთი ღამეა მთელი ცხოვრების გადამრჩენელი, ნათელი სხივი. „პატარა, ცისფერთვალეზა, ქერათმიანი“ ჟურნალისტისა და თვითმფრინავში გაცნობილი ჯარისკაცის უიღბლო, უმომავლო სიყვარული და მუდმივი შფოთი - „მომაგნებს, მიპოვებს?“ („სად მეძებნა? სად მეპოვა მხოლოდ სახელით? არც გვარი ვიცოდი, არც ბატალიონი;“ „მჯეროდა, რომ ბედისწერა იყო იყო ჩვენი ეს შეხვედრა და აუცილებლად ექნებოდა გაგრძელება“ (აკობიძე, 2024, გვ. 43). არის ის, რაც ნანა აკობიძის „სამ ომს“ განსაკუთრებულ ტექსტად აქცევს.

ომი რომანტიკულად დაწყებულ სიყვარულს ტრაგიკულ, საბედისწერო ისტორიად აქცევს. ამ ამბავმა პერსონაჟის ისტორია ორ ნაწილად დაყო: ომამდე და ომის შემდეგ, მელანქოლიური, მეოცნებე გოგო დრამატულ ქალად აქცია.

წიგნს ერთვის ფოტომასალაც, რაც რომანში მოთხრობილ ამბებს მეტ დამაჯერებლობას, სინამდვილის განცდას ანიჭებს.

დასკვნა. ავტორი/პერსონაჟი მთელი ცხოვრება გაუცხოებულია იმ კონტექსტთან, რომელშიც ცხოვრობს, ხილული, ფიზიკური ომის გამოვლის შემდეგ მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობა აწვალეს, რაც გახდა კიდეც ომგამოვლილთა ამოსაცნობი ნიშანი, სულიერი დამლა, იქნებ, სტიგმაც, რომელსაც ვერავინ გაექცა.

ლიტერატურა ერთ-ერთი მძლავრი იარაღია ომის სისასტიკის, დაუნდობლობის გადმოსაცემად, რაც ამ წიგნში ეფექტიანად გამოჩნდა. რასაც ვერ ახერხებენ პოლიტიკოსები, ხელისუფალნი, სწორედ მწერლობამ, მხატვრულმა სიტყვამ, ზოგადად, ხელოვნებამ უნდა იტვირთოს.

ნანა აკობიძე შინაგანი განცდით წერს ამბებზე, რომლებიც თვითონ გამოიარა. სხვანაირად ომზე წერა წარმოუდგენელია, ამიტომაც არის სანდო, პროფესიონალი ავტორი, რომელიც თავის საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდება. თუმცა კომპოზიციური ხარვეზი, ფორმასთან დაკავშირებული ნაკლი ამ ტრილოგიის ღირსებას აკნინებს, ორ წიგნად, დილოგიად, გამოცემის შემთხვევაში, ის თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში ომის დისკურსზე დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო, გამორჩეული ტექსტი იქნებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

აკობიძე, ნ. (2024). *სამი ომი (ც)*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

ბროდსკი, ი. (2008). *ვერგილიუსი*. მოძიებულია ვებგვერდიდან:

<http://arilimag.ge/იოსიფ-ბროდსკი-4/>

წერეთელი, მ. (2006). *გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი: სალექციო კურსი*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

მედიის განვითარების ფონდი. (2013). *ქალები წარსულიდან*. მოძიებულია ვებგვერდიდან:

<https://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/7/file/Kalebi.pdf>

REFERENCES

ak'obidze, n. (2024). *sami omi (ts) [Three Wars]*. Tbilisi: Publishing House „Inteleti“.

brodsk'i, i. (2008). *vergiliusi [Vergil]*. Retrieved from

<http://arilimag.ge/იოსიფ-ბროდსკი-4/>

ts'ereteli, m. (2006). *genderi - k'ult'uruli da sotsialuri k'onst'rukt'i: salektsio k'ursi [Gender - Cultural and Social Construct: Course of lectures]*. Tbilisi: The Centre of Social Sciences.

mediis ganvitarebis pondi [Media Development Fund]. (2013). *kalebi ts'arsulidan [Women from the Past]*. Retrieved from <https://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/7/file/Kalebi.pdf>